სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„15“ 11 2013 წელი

ეგზ. № 2

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მიერ 2011-2012 წლებში განხორციელებული
სოციალური პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში № 42/00

2013 წელი

შინაარსი

აუდიტის ძირითადი მიზანი....3

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა....3

აუდიტორის პასუხისმგებლობა....3

ზოგადი მიმოხილვა....4

სოციალური დახმარების გაცემის ორგანიზება....4

სოციალური პროგრამების ჩამონათვალი....5

პირობითი მოსაზრების საფუძვლები....6

ომის ვეტერანთა სოციალური დახმარება....6

მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება....6

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დახმარება....8

ხანძრისა და სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულთა ერთჯერადი დახმარებები .9

ფულადი კომპენსაციები....9

სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარება.... 11

სასმელი წყლის მილების შეძენა-განაწილება 14

სისტემური ნაკლოვანებები 15

კომისიის ოქმის გარეშე გაცემული თანხები.... 15

არასრულყოფილი დოკუმენტაცია.... 16

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები 17

აუდიტის დასკვნა....**Error! Bookmark not defined.**

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი....**Error! Bookmark not defined.**

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ....**Error! Bookmark not defined.**

აუდიტის ძირითადი მიზანი

აუდიტის ძირითადი მიზანია დასკვნის გაცემა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მიერ 2011-2012 წლებში „სოციალური დაცვის პროგრამის“ ფარგლებში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, ორგანიზაციაში შიდა კონტროლის ისეთი სისტემის დანერგვა და ზედამხედველობა, რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური დახმარების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის კოდექსის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ზოგადი მიმოხილვა

2011-2012 წლებში ლენტეხის მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური პროგრამის ფარგლებში გაცემულია 294.5 ათასი ლარის დახმარება. კერძოდ, 2011 წელს - 61.3 ათასი ლარი და 2012 წელს - 232.2 ათასი ლარი. მათ შორის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოიყო[1] 2 ათასი ლარი - ომის ვეტერანთა დახმარების გაწევის მიზნით.

2012 წელს მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა 4-ჯერ გადააჭარბა 2011 წელს გაცემულ თანხას, რაც განპირობებულია იმით, რომ 2012 წელს სტიქიური უბედურების[2] შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი დახმარების მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სპეც-ტრანსფერის სახით გამოიყო 148.2 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან - 84.2 ათასი ლარი.

სოციალური დახმარების გაცემის ორგანიზება

სოციალური დახმარების გაცემა რეგულირდება საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილებით „ლენტეხის მუნიციპალიტეტის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის მიხედვითაც, მუნიციპალიტეტის მიერ 2011-2012 წლებში სოციალური უზრუნველყოფის პროგრამით გათვალისწინებული დახმარებების გაცემის ორგანიზებას უზრუნველყოფს ლენტეხის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური, რომელიც ამოწმებს მუნიციპალიტეტში შემოსულ განცხადებებს, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად. შემოწმების შემდეგ, სრულყოფილი დოკუმენტაცია სამსახურის მიერ მომზადებულ დასკვნასთან ერთად გადაეცემა სოციალური დახმარების კომისიას. შემოსულ განცხადებებს საბოლოოდ განიხილავს კომისია, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ბენეფიციართა დახმარების გაცემის თაობაზე. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აისახება კრების ოქმში, რომელიც დასკვნასთან ერთად წარედგინება

[1] თანხა გამოიყო 2011 წელს.

[2] 2012 წლის სტიქიური მოვლენები (სეტყვა) და მუნიციპალიტეტში სხვადასხვა დროს მომხდარი მეწყრული მოვლენები

საკრებულოს თავმჯდომარეს. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საკრებულოს თავმჯდომარე, რომელიც კომისიის დასკვნისა და რეკომენდაციის საფუძველზე გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.

გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს სავალალო შედეგი, დახმარების გაცემა შესაძლებელია კომისიის დასკვნის გარეშეც, მხოლოდ სამსახურის შუამდგომლობით, საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით.

საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების ასლი, რომლითაც დამტკიცებულია ბენეფიციართა პერსონალური შემადგენლობა, მისამართი და თანხა, იგზავნება გამგეობის საფინანსო სამსახურში. დახმარებები გაიცემოდა 2011 წელს და 2012 წლის დასაწყისში სალაროს მეშვეობით, ხოლო შემდგომ პერიოდში - საბანკო ანგარიშწორებით.

სოციალური პროგრამების ჩამონათვალი

2011-2012 წლებში საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილებით „ლენტეხის მუნიციპალიტეტის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ დახმარების გაცემა ხდებოდა შემდეგ პროგრამებზე:

სოციალური პროგრამების დაფინანსება **ლარი**

	2011 წელი		2012 წელი	
პროგრამა	თანხა	ბენეფიციართა რაოდენობა	თანხა	ბენეფიციართა რაოდენობა
შეზღუდული შესაძლებლობების პირთა სოციალური დაცვა	38 500	294	37 900	335
ომის ვეტერანთა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები	1 400	5	4 600	16
მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება	2 900	7	10 000	45
ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	15 200	117	25 200	122
ხანძრისა და სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებულთა ერთჯერადი დახმარება	3 300	4	154 500	93
სოციალური უზრუნველყოფა	61 300	427	232 200	518

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

ომის ვეტერანთა სოციალური დახმარება

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სოციალური დახმარება მიეცემათ:

- ✓ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს, ფაშიზმზე გამარჯვების დღეს, 9 მაისს. თანხა გაიცემა ერთჯერადად, რომლის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 300 ლარს.

მუნიციპალიტეტში დახმარების მისაღებად წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- წერილობითი განაცხადი მუნიცპალიტეტის გამგებლის სახელზე;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- ომის მონაწილის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 2011-2012 წლებში გაცემულ იქნა 6 ათასი ლარი - 21 ვეტერანზე. მათ შორის, 2011 წელს 1.4 ათასი ლარი გაიცა 5 ვეტერანზე, ხოლო 2012 წელს 16 ბენეფიციარზე განაწილდა 4.6 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში, წლების მიხედვით, ბენეფიციართა რაოდენობის ზრდა განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ 2012 წელს გათანაბრებითი სტატუსი მიენიჭათ იმ ბენეფიციარებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ (აფხაზეთისა და სამაჩაბლოს) საომარ მოქმედებებში.

მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ანაზღაურდება შემდეგი სახის სარიტუალო მომსახურება:

- ✓ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება.
- ✓ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება.

- ✓ უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება.

დახმარების მისაღებად მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- დაკრძალვის ხარჯის მიმღები პირის განაცხადი მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე.
- გარდაცვალების მოწმობის ასლი.
- იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობის ასლი.
- ინფორმაცია ტერიტორიული ორგანოდან გარდაცვლილის უპატრონობის შესახებ.
- გარდაცვლილი ვეტერანის მოწმობის ასლი.

მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაიცემა ერთჯერადი დახმარება არა უმეტეს 300 ლარის ოდენობით. სულ, 2011-2012 წლებში პროგრამის ფარგლებში გაწეულია 12.9 ათასი ლარის დახმარება 52 ბენეფიციარზე. მათ შორის, 2011 წელს 7 ბენეფიციარზე გაცემულია 2.9 ათასი, ხოლო 2012 წელს 45 ბენეფიციარზე - 10 ათასი ლარი.

გამოვლენილი გარემოებები

სააუდიტო პერიოდის განმავლობაში არის შემთხვევები, როდესაც მუნიციპალიტეტის მიერ სარიტუალო ხარჯების ანაზღაურება ხდება გარდაცვლილის ოჯახის წევრის განცხადების საფუძველზე, მაშინ როდესაც გარდაცვლილი არ მიეკუთნება არც იძულებით გადაადგილებულ პირთა და არც ომის ვეტერანთა კატეგორიას. აქედან გამომდინარე, მიცვალებული სავარაუდოდ ვერ ჩაითვლება უპატრონოდ და ვერ კმაყოფილდება პროგრამით განსაზღვული კრიტერიუმები[3]. შესაბამისად, უმჯობესი იქნება, თუ საკრებულოს მხრიდან მოხდება პროგრამის სახელწოდებისა და კრიტერიუმების იმგვარად ჩამოყალიბება, როდესაც ბენეფიციარები, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას, ისარგებლებენ მოცემული პროგრამით.

[3] 2012 წელს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დახმარება გაიცა 45 ბენეფიციარზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დაკმაყოფილებულთა დაახლოებით 80% ვერ აკმაყოფილებდა პროგრამის მიზნობრიობას.

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დახმარება

პროგრამის ფარგლებში განსაზღრულია თანხების გაცემა შემდეგ კატეგორიებზე:

- ✓ ახალშობილების დახმარება: პირველ, მეორე და მესამე ბავშვზე 100 ლარი - ერთჯერადად, მეოთხე და ზევით - 150 ლარი.
- ✓ მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება: ოთხ შვილზე - 200 ლარი ერთჯერადად, ხუთ და მეტ ბავშვზე ყოველთვიურად, თვეში - ბავშვზე 10 ლარის ოდენობით;
- ✓ დედ-მამით ობოლ 0-18 წლამდე ბავშვებზე დახმარება გაიცემა ერთჯერადად, ბავშვთა საერთაშორისო დღესთან, 1 ივნისთან დაკავშირებით, ბავშვზე - 100 ლარის ოდენობით;
- ✓ ტყუპების შემთხვევაში - 150 ლარი თითოეულ ბავშვზე, ერთჯერადად.

დახმარების მიმღებმა პირმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- წერილობითი განაცხადი;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- ბავშვების დაბადების მოწმობის ასლები;
- ცნობა სოციალური სუბსიდიების მომსახურების სააგენტოდან, ბავშვის მეურვის ვინაობის შესახებ.

2011-2012 წლებში პროგრამის ფარგლებში 239 ბენეფიციარზე გაცემულ იქნა 40.4 ათასი ლარი, საიდანაც 2011 წელს 15.2 ათასი ლარით დაკმაყოფილდა 117 ბენეფიციარი, ხოლო 2012 წელს, 25.2 ათასი ლარი განაწილდა 122 ბენეფიციარზე.

გამოვლენილი გარემოებები

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მიერ 2011-2012 წლებში „ოჯახებისა და ბავშვების'' დახმარებისათვის განკუთვნილი თანხიდან გაიცა გამგეობის თანამშრომელთა დეკრეტული შვებულების ანაზღაურება. საკრებულოს დადგენილება „სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ“ აღნიშნული პროგრამიდან მსგავსი დახმარების

გაცემას არ ითვალისწინებდა. სულ დეკრეტული შვებულების ასანაზღაურებლად გამოყოფილია 2 409 ლარი, მათ შორის, 2011 წელს - 422, ხოლო 2012 წელს - 1987 ლარი.

ხანძრისა და სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულთა ერთჯერადი დახმარებები

ხანძრით ან სტიქიური უბედურებით დაზარალებულმა მოქალაქემ მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს:

- ✓ წერილობითი განაცხადი მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე;
- ✓ პირადობის მოწმობის ასლი;
- ✓ ხანძრის ან სტიქიური მოვლენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

დახმარება გაიცემა ერთჯერადად, ხანძრის ან სტიქიური მოვლენის შედეგად დაზარალებული მოსახლეობიდან შემოსული განცხადების განხილვის მიზნით შექმნილი კომისიის დასკვნისა და რეკომენდაციის საფუძველზე. ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის მაქსიმალური ოდენობაა 2 ათასი ლარი.

2011-2012 წლებში სულ ხანძრისა და სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი დახმარების სახით გაცემულ იქნა 157.8 ათასი ლარი 99 ბენეფიციარზე. მათ შორის: 2011 წელს 3.3 ათასი ლარი განაწილდა 4 ბენეფიციარზე, ხოლო 2012 წელს 154.5 ათასი ლარი - 93 ბენეფიციარზე.

2012 წელს გაცემული დახმარება მნიშვნელოვნად აღემატება 2011 წლის მაჩვენებლს, რაც გამოწვეულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მომხდარი სტიქიური მოვლენებით[4] და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეცტრანსფერებით, რომლითაც განხორციელდა დაზარალებული მოსახლეობის დახმარება.

ფულადი კომპენსაციები

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 აპრილის №772 განკარგულებითნ ლენტეხის მუნიციპალიტეტს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული

[4] 2012 წლის სტიქიური მოვლენები (სეტყვა) და მუნიციპალიტეტში სხვადასხვა დროს მომხდარი მეწყრული მოვლენები.

ოჯახების კომპენსაციისათვის გამოეყო 63 ათასი ლარი, თითოეული ოჯახისათვის - 7 ათასი ლარის ოდენობით. საკითხის შესწავლისას გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

გამოვლენილი გარემოებები

2012 წლის დასაწყისში საკრებულოს თავმჯდომარემ, არქიტექტურის სამსახურს დაავალა მოსახლეობიდან სხვადასხვა დროს დაზიანებული სახლების შესახებ შემოსული განცხადებების შესწავლა. არქიტექტურის სამსახურმა 2012 წლის 5 თებერვლის მოხსენებითი ბარათით წარადგინა ინფორმაცია 9 დაზიანებული სახლის შესახებ, რომელთა დაზიანების თაობაზე განცხადებები მუნიციპალიტეტში შესულია 2008-2011 წლებში, თუმცა ბარათით არ ირკვევა, რამდენი დაზიანებული სახლი შემოწმდა მუნიციპალიტეტის მასშტაბით. აუდიტის მსვლელობისას ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა კრიტერიუმებით მოხდა აღნიშნული სახლების შერჩევა.

2012 წლის 12 აპრილს მუნიციპალიტეტმა მიმართა რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულს, მეწყრული მოვლენების შედეგად დაზარალებული 9 ოჯახის საკომპენსაციოდ 63 ათასი ლარის გამოყოფაზე მთავრობასთან შუამდგომლობის დაყენების თხოვნით (თითოეულ ოჯახზე 7 ათასი ლარი). მუნიციპალიტეტს აღნიშნული თანხა გამოეყო 2012 წლის 24 აპრილს.

აღსანიშნავია, რომ საკრებულოს ბრძანებით, შეიქმნა სტიქიური მოვლენების (მეწყერი) შედეგად დაზარალებული, ლენტეხის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრები ოჯახებისათვის ერთჯერადი ფულადი კომპენსაციების გაცემის საკითხთა შემსწავლელი კომისია, რომლის პირველი სხდომა გაიმართა 2012 წლის 24 ოქტომბერს. მაშინ, როცა ზემოთ აღნიშნული 9 ბენეფიციარისათვის საკომპენსაციო თანხები მთავრობის განკარგულებით უკვე გამოყოფილია, ანუ თანხის მიღებიდან 6 თვის შემდეგ, კომისიის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შერჩეული დაზარალებული სახლების გეოლოგიური შესწავლის თაობაზე.აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ საკრებულოს თავმჯდომარის მიერ კომისიის შექმნა ფორმალურ ხასიათს ატარებს,

რადგან კომპენსაციის მიმღებთა სახელობითი სია დადგენილი იყო ჯერ კიდევ აპრილის თვეში, რომელშიც ცვლილებები არ შესულა.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხით, უნდა განხორციელებულიყო სტიქიური მოვლენების შედეგად მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრები ოჯახებისათვის დახმარება. საყურადღებოა, რომ დახმარების მიმღებ პირთა შორის ერთ-ერთის[5] საცხოვრებელი ადგილის მისამართი პირადობის მოწმობის მიხედვით, არის ქ. თბილისი. აუდიტის ჯგუფი ვერ გამოთქვამს დასაბუთებულ მოსაზრებას, იყო თუ არა აღნიშნული ბენეფიციარი მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრები და აკმაყოფილებდა თუ არა ყველა იმ მოთხოვნას, რომლის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო კომპენსაციის გაცემა.

გეოლოგიური დასკვნისა და მუნიციპალიტეტში შექმნილი კომისიების შეფასებით, სახლები იყო სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული და ზოგიერთ მათგანში ცხოვრება სიცოცხლისთვის საფრთხეს წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის განკარგულებით მუნიციპალიტეტს თანხა 2012 წლის 24 აპრილს გამოეყო, გაცემის პროცესი გაჭიანურდა და საბოლოოდ კომპენსაციები გაიცა 2012 წლის 14 დეკემბერს.

სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარება

2012 წლის მაისში ლენტეხის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელი (ბაბილი, გულიდა, ყარიში, გვიმბრალა, ნანარი, რცხმელური) დაისეტყვა. სტიქიის შედეგად მოსახლეობას მიადგა მნიშვნელოვანი ზარალი, განადგურდა ნათესი ფართობები და დაზიანდა საცხოვრებელი სახლის სახურავები. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით შეიქმნა სტიქიის შედეგად გამოწვეული ზარალის შემსწავლელი კომისია. კომისიის გადაწყვეტილებით, პრიორიტეტად იქნა მიჩნეული იმ ოჯახების დახმარება, რომელთაც დაუზიანდათ საცხოვრებელი სახლის სახურავები. ამასთანავე განისაზღვრა, რომ დახმარებას მიიღებდნენ მხოლოდ ის ოჯახები, რომელთა

[5] ეკატერინე ლიპარტელიანი.

სახლები გადახურული იყო ე.წ. „შიფერის“ ფენილით. 2012 წლის 11 ივნისს შედგა კომისიის სხდომის ოქმი №2, რომლის მიხედვითაც დადგინდა 49 ოჯახის სია, რომელთაც სტიქიის შედეგად დაუზიანდათ ე.წ. „შიფერის“ ფენილის სახურავები. ოქმის მიხედვით, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საპროექტო სამსახურს დაევალა დაზიანებული სახლების სახურავების აზომვითი სამუშაოების ჩატარება, ხოლო მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას ეთხოვა საქართველოს მთავრობასთან საკითხის დაყენება დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავის ფენილის შესაძენად თანხის გამოყოფის შესახებ. საპროექტო სამსახურის მიერ განხორციელდა დაზიანებული სახლების აზომვა და განისაზღვრა თითოეული დაზარალებულისათვის გასაცემი სახურავის ფენილის რაოდენობა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 25 ივნისის №892 ბრძანებით „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ ლენტეხის მუნიციპალიტეტს გამოეყო 64 ათასი ლარი სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის საცხოვრებელი სახლების სახურავების (ფენილის) შესაძენად. ამასთანავე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მუნიციპალიტეტის გამგეობას უფლება მიეცა გამოყოფილი თანხით განეხორციელებინათ გამარტივებული შესყიდვა. იმავე წლის 26 ივლისის №26/07/07 განკარგულებით, ლენტეხის მუნიციპალიტეტს საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო 220 ათასი ლარი ინფრასტრუქტურული, სოციალური და სპორტული პროექტების განხორცილების მიზნით. აღნიშნული თანხა მუნიციპალიტეტის საკრებულოს №49 განკარგულებით განაწილდა სხვადასხვა პროექტზე, მათ შორის, 10 ათასი ლარი გათვალისწინებულ იქნა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციისათვის.

გამოვლენილი გარემოებები

2012 წლის 7 აგვისტოს ლენტეხის მუნიციპალიტეტსა და ი/მ „დათო ხორავას“ შორის გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმდა ხელშეკრულება.

ხელშეკრულებისა და წარმოდგენილი ინვოისის მიხედვით, მიმწოდებელს უნდა მიეწოდებინა 74 ათასი ლარის ღირებულების 37 ტონა მოთუთიებული გოფრირებული თუნუქი (ერთი კგ-ის ფასი - 2.00 ლარი). აღსანიშნავია, რომ თანხის გადახდა განხორციელდა წინასწარი ანგარიშსწორების ფორმით, მაშინ, როდესაც ხელშეკრულების პირობების თანახმად, ანაზღაურება უნდა მომხდარიყო შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და თანმხლები დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არა უგვიანეს 5 საბანკო დღის ვადაში. მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება სრულად აუნაზღაურა 8 აგვისტოს, ხელშეკრულების გაფორმებიდან მეორე დღეს. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ წინასწარ ანაზღაურებულ თანხაზე მიმწოდებლის მიერ საბანკო გარანტია წარმოდგენილი არ არის. მიღება-ჩაბარების აქტი მუნიციპალიტეტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსსა და ი/მ „დათო ხორავას“ შორის გაფორმდა 10 აგვისტოს ქ. ქუთაისში, მაშინ როდესაც ხელშეკრულების პირობების მიხედვით, შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელებულიყო დაბა ლენტეხში. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებების მიხედვით, დაბა ლენტეხში შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდა 11 და 17 აგვისტოს. ზედნადებების მიხედვით, ერთეულის ღირებულება შემცირებულია (1 კგ - 1.9 ლარი) და შესაბამისად, მიწოდებული სახურავის ფენილის რაოდენობამ შეადგინა 38.9 ტონა. სხვაობამ ზედნადებებსა და მიღება-ჩაბარებაში დაფიქსირებულ რაოდენობებს შორის შეადგინა 1.9 ტონა. მუნიციპალიტეტმა ვერ მოგვაწოდა მტკიცებულება აღნიშნული სხვაობის გამომწვევი მიზეზების შესახებ.

მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილ იქნა მიღება-ჩაბარების აქტები, რომლითაც დასტურდება დაზარალებული მოსახლეობის მიერ სახურავის ფენილის მიღება. აუდიტის ჯგუფმა ეს დოკუმენტაცია შეადარა გამანაწილებელი კომისიის სხდომის ოქმს, რომლითაც განსაზღვრული იყო, თუ ვის უნდა მიეღო სახურავის ფენილი და რა რაოდენობით. შედარების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოება:

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით[6] რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ლენტეხის მუნიციპალიტეტს თანხა გამოეყო 2012 წლის მაისის

[6] 2012 წლის 25 ივნისის N-892 ბრძანება

სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის საცხოვრებელი სახლების სახურავების შესაძენად, თუმცა რამდენიმე შემთხვევაში სახურავები გაიცა იმ სოფლის მოსახლეობაზე, რომელიც მაისის სტიქიის შედეგად არ დაზარალებულა. კერძოდ, სოფელ შკედსა და სოფელ ზესხოში გაცემულია 170 ცალი სახურავის ფენილი.

სასმელი წყლის მილების შეძენა-განაწილება

ლენტეხის მუნიციპალიტეტს საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 2012 წლის 26 ივლისის განკარგულებით[7] გამოეყო 220 ათასი ლარი სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების განსახორციელებლად. საკრებულოს გადაწყვეტილებით, გამოყოფილი თანხიდან 10 ათასი ლარი მიიმართა სოციალურად შეჭირვებული ოჯახებისათვის სასმელი წყლის მილების შესაძენად.

გამოვლენილი გარემოებები

2012 წლის 7 აგვისტოს ი/მ „ბაგრატ ფონიავასთან“ გაფორმდა ხელშეკრულება სასმელი წყლის მილების შეძენაზე, ღირებულებით 10 ათასი ლარი. ხელშეკრულების დანართის მიხედვით მიმწოდებელს უნდა მიეწოდებინა:

4 600 მეტრი 32 მმ-იანი პლასტმასის მილი - ერთეულის ფასი 0.95 ლარი:

4 700 მეტრი 25 მმ-იანი პლასტმასის მილი - ერთეულის ფასი 0.7 ლარი;

4 680 მეტრი 20 მმ-იანი პლასტმასის მილი - ერთეულის ფასი 0.5 ლარი.

საქონლის მიწოდების დროს მიმწოდებელმა დაარღვია ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტი, კერძოდ, 4700 მეტრი 25 მმ-იანი პლასტმასის მილის ნაცვლად, იმავე ერთეულის ფასად, მიაწოდა 16 მმ-იანი მილები. იმის გათვალისწინებით, რომ 20 მმ-იანი მილის ერთეულის ფასი იყო 0.5 ლარი, 0.16 მმ-იან მილში 0.7 ლარის გადახდით, მიმწოდებელისათვის გადახდილ და გადასახდელ თანხას შორის სხვაობამ დაახლოებით ათასი ლარი შეადგინა, რომელიც სავარაუდოდ ზედმეტადაა ანაზღაურებული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების

[7] საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 26 ივლისის N-26/07/07 განკარგულება

მიხედვით, საქონლის მიწოდება უნდა განხორციელებულიყო 20 აგვისტომდე, ხოლო ანაზღაურება უნდა მომხდარიყო შესყიდვის ობიექტის მიწოდებიდან, 5 დღის განმავლობაში. თუმცა მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულების ღირებულების ანაზღაურება მოახდინა წინასწარ - 10 აგვისტოს, ისე, რომ მიმწოდებელს ავანსად მიღებულ თანხაზე გარანტია არ წარმოუდგენია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პლასტმასის მილების მიწოდება განხორციელდა 23 აგვისტოს.

შესყიდული სასმელი წყლის მილები მოსახლეობას დაურიგდა თემის რწმუნებულების მიერ. მათ მიერ წარმოდგენილი გაცემის უწყისების მიხედვით, მილები ჩაიბარა სულ 17-მა კაცმა. რწმუნებულების ინფორმაციით, გაცემის უწყისები გაფორმდა თითოეული სოფლის ერთ წარმომადგენელთან და მილების მოსახლეობაზე განაწილება მოხდა მათ მიერ, თუმცა შემდეგ განაწილებაზე დოკუმენტები ვერ იქნა წარმოდგენილი.

სისტემური ნაკლოვანებები

კომისიის ოქმის გარეშე გაცემული თანხები

2011-2012 წლებში სოციალური პროგრამების განხორციელება ხორციელდებოდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010-2012 წლებში მიღებული დადგენილების შესაბამისად, თუმცა აუდიტის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან, სოციალური დახმარების გაცემის წესის თანახმად, დახმარება უნდა გაიცეს კომისიის დასკვნის საფუძველზე, ხოლო გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს სავალალო შედეგი, დახმარების გაცემა შესაძლებელია კომისიის დასკვნის

გარეშეც, მხოლოდ სამსახურის შუამდგომლობით, საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2012 წელს კომისიის დასკვნის საფუძველზე გაცემულმა თანხამ დაახლოებით 41 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო კომისიის განხილვის გარეშე გაიცა 43 ათასი ლარი, რაც მთლიანი თანხის 50%-ზე მეტია; მაშინ, როცა 2011 წელს კომისიის დასკვნით გაცემული დახმარება 39.4 ათას, ხოლო საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით გაცემული თანხა 21.9 ათას ლარს შეადგენდა, რაც გაცემული თანხის 35 %-ია. აღნიშნული თანაფარდობა გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ გარკვეულ შემთხვევებში საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით თანხა გაიცემოდა იმ ბენეფიციარებზე, რომელთა დახმარება გადაუდებელ აუცილებლობას არ წარმოადგენდა. მსგავს შემთხვევაში საკრებულოს დადგენილების[8] მიხედვით საკითხის განხილვა უნდა მომხდარიყო კომისიის მიერ.





1 - კომისიის ოქმის გარეშე გაცემული დახმარება,
2 - კომისიის ოქმების შედეგად გაცემული დახმარება.

არასრულყოფილი დოკუმენტაცია

2011-2012 წლებში გხვდება შემთხვევები, როდესაც დახმარების გაცემა ხდებოდა არასრულყოფილი დოკუმენტაციის საფუძველზე. მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც დახმარება გაიცემოდა მხოლოდ განცხადების საფუძველზე, რომელსაც თან არ

[8] „ლენტეხის მუნიციპალიტეტის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“.

ახლავს არც ერთი სხვა დოკუმენტი. კერძოდ, ახალშობილთა ერთჯერადი დახმარებების გაცემა 2011-2012 წლებში მასობრივად ხდებოდა განცხადების გარეშე. ასევე არის არასრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის სხვა შემთხვევები: ბენეფიციარებს, რომლებიც დახმარებას იღებდნენ ავადმყოფთა სოციალური დაცვის პროგრამით, არ ჰქონდათ წარმოდგენილი ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ; მაშინ, როდესაც საკრებულოს დადგენილებით, გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენა სავალდებულოა. აღნიშნული ფაქტები მიუთითებს სოციალურ სამსახურში არსებული კონტროლის სისტემის არაეფექტიან მუშაობაზე.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2011-2012 წლებში სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის გათვალისწინებული თანხების გამანაწილებელი კომისიის მიერ შედგენილ იქნა 14 ოქმი. აქედან, 8 ოქმი - 2011 წელს, რომლის მიხედვით, 341 ბენეფიციარზე გაიცა 39.4 ათასი ლარი, ხოლო 6 ოქმი - 2012 წელს. ამ უკანასკნელის მიხედვით, 41.2 ათასი ლარით დაკმაყოფილდა 324 კაცი.

2012 წლის 23 აგვისტოს სოციალური დახმარების კომისიის მიერ შედგენილ იქნა რიგით მეოთხე კრების ოქმი, რომელიც ითვალისწინებდა 72 კაცზე ერთჯერადი 100 - ლარიანი დახმარების გაცემას. გასაცემი თანხა ჯამში შეადგენდა 7.2 ათას ლარს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ოქმს შემდგომი რეაგირება არ მოჰყოლია, რის გამოც თანხის გაცემა არ მომხდარა. მეოთხე ოქმის შემდეგ, კომისიამ შეადგინა კიდევ ორი ოქმი, რის საფუძველზეც მოხდა 9 ათასი ლარის გაცემა.

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მიერ 2011-2012 წლებში სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში გაწეული საქმიანობა შეესაბამება კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუდიტორ–ასისტენტი:
ზურაბ ზუმბაძე ხელმოწერა თარიღი 14.11.2013

აუდიტორ–ასისტენტი:
ბარამ ონიანი ხელმოწერა თარიღი 14.11.2013

აუდიტორ–ასისტენტი:
გიორგი ბუკია ხელმოწერა თარიღი 14.11.2013